ლადო პაპავა:
ხელისუფლების თითოეული განცხადება არის სიბრიყვე!

გაზეთი “ასავალ–დასავალი” – ნოემბერი 21-27, № 47, 2011

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა იმ დაპირებებზე გვესაუბრება, რომელსაც ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ უხვად არიგებს და ამასთან იმ ტექნოლოგიებს გვიხსნის, რომლითაც ხელისუფლება ხალხის მოტყუებას ცდილობს.

– ბატონო ლადო, გასულ კვირას პარლამენტში მომავალი ხუთწლედის განვითარების 10 პუნქტიანი გეგმა განიხილეს და მოიწონეს. თქვენ რას იტყვით ამ გეგმასთან დაკავშირებით?

– ეს ნამდვილად არ არის სერიოზული დოკუმენტი, რადგან პრაქტიკულად არცერთ წინადადებას არ ახლავს რაიმე მეტ-ნაკლებად სერიოზული დასაბუთება. ეს რომ არასერიოზული დოკუმენტია, ძალიან ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება საამისოდ. თუნდაც ის, რომ საუბარია 2011-2015 წლებზე და დოკუმენტი გამოდის 2011 წლის ბოლოს, ხოლო გეგმა წლების მიხედვით არ არის გაწერილი. წერია, რომ ექსპორტი უნდა გაორმაგდეს, მაგრამ რა ღონისძიებები უნდა გატარდეს, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. ეს დოკუმენტი გაკეთდა იმისთვის, რომ საზოგადოება ნაკლებად იყოს დაკავებული იმ თემებით, რომელიც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას უკავშირდება.

ობიექტური რომ ვიყო, აღვნიშნავ, ეს გეგმა ნამდვილად არის წინგადადგმული ნაბიჯი წინა მსგავს დოკუმენტებთან შედარებით. გავიხსენოთ „სიღარიბის დაძლევის 50 თვიანი პროგრამა“, რომლის შესახებაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა 2008 წელს. 50 თვე არის 4 წელი და 2 თვე, რაც ჯერ არ გასულა, თუმცა, ეს პროგრამა დღემდე თვალით არავის უნახავს. მაინტერესებს, რა მიმართებაშია მთავრობის 10 პუნქტიანი გეგმა 50 თვიან პროგრამასთან, რაზეც, რა თქმა უნდა, ხელისუფლება ვერანაირ პასუხს ვერ გაგვცემს და ვერც ჩვენ ვიტყვით რამეს, იმიტომ რომ ეს 50 თვიანი პროგამა საერთოდ არ დაწერილა.

– სამაგიეროდ ვხედავთ შედეგს, სიღარიბის დაძლევის ნაცვლად, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთა სია 2 მილიონამდეა ასული.

– გეტყვით ერთ საინტერესო რამეს, რითაც ნათელი გახდება, თუ როგორ ცდილობს ხელისუფლება სიღარიბის დაძლევას. საქმე იმაშია, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მთავრობამ პრინციპულად შეცვალა დამოკიდებულება სიღარიბის დონის გათვლასთან დაკავშირებით. რევოლუციამდე სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფად ითვლებოდა ის, ვისაც შემოსავალი საარსებო მინიმუმზე ნაკლები ჰქონდა. საარსებო მინიმუმი კი, მოგეხსენებათ, გამოითვლება სამომხმარებლო კალათით. „ვარდების რევოლუციამდე“ სიღარიბის ზღვარს მიღმა იყო მოსახლეობის 52 პროცენტი. რევოლუციით მოსულმა ხელისუფლებამ სამომხმარებლო კალათის კალორიულობა შეამცირა, ხოლო საბაზრო ფასების ნაცვლად აიღო საბითუმო ფასები, რითაც, ცხადია საარსებო მინიმუმიც შემცირდა. შესაბამისად, შემცირდა სიღარიბის მაჩვენებელიც. აი, ამ ტყუილის ფონზე 2004 წელს აჩვენეს, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის მხოლოდ 35 პროცენტი იყო. 2005 წელს ამ შეცვლილი მეთოდოლოგიითაც კი სიღარიბის დონე 39 პროცენტამდე გაეზარდათ. 2006 წელს საერთოდ არ გამოაქვეყნეს ეს მაჩვენებელი, რადგანაც ის კიდევ უფრო გაიზარდა და 42 პროცენტს მიაღწია. შემდგომ წლებში კი საერთოდ უარი თქვეს სიღარიბის მაჩვენებლის საარსებო მინიმუმით განსაზღვრაზე, იმიტომ, რომ ასე შემცირებული საარსებო მინიმუმის პირობებშიც კი სიღარიბე კატასტროფულად იზრდება.

გილაურის ახალ 10 პუნქტიან გეგმაში სიღარიბის დაძლევა პრიორიტეტად უკვე აღარ გამოტანილი, თითქოს ეს პრობლემა ქვეყანაში უკვე მოგვარებულია. სამაგიეროდ, საუბარია ქვეყნის მოდერნიზაციაზე. მოდერნიზაციის თემა ძალიან აქტუალურია ჩვენს მეზობელ რუსეთში, რისი ინიციატორიც პრეზიდენტი მედვედევი გახლავთ. რუსეთში იწერება ნაირ-ნაირი ახალი პროგრამები და სქემები. ამ დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი მთავრობა, რომელიც ვითომ პროდასავლურია და ეწინააღდეგება რუსეთს, თავის გეგმას არქმევს მოდერნიზაციას. მოდერნიზაცია არის ნიღაბი იმისათვის, რომ ქვეყანაში არ განვითარდეს დემოკრატია. მოდერნიზაციის შესანიშნავი მაგალითია ის, რომ გილაურმა ამ გეგმის პრეზენტაცია მოაწყო სოციალურ ქსელში. ეს არის მოჩვენებითობა, რომელსაც დემოკრატიასთან კავშირი არა აქვს.

გილაურის გეგმაში წერია, რომ 45-დან 60 წლამდე ასაკის მოქალაქეების დასაქმებისას მეწარმეებს მიეცემათ შეღავათები. მე ვუსმინე პრეზიდენტს,

რომელმაც თქვა, რომ მეწარმე ასეთ შემთხვევაში გათავისუფლდებოდა მოგების გადასახადისაგან. ჯერ ერთი, თუ ეს ხალხი ასეთი კარგი იყო, რატომ გაუშვეს საჯარო სამსახურებიდან? მეორე, რა ქნან იმ მამაკაცებმა, რომლებიც არიან 60-დან 65 წლამდე, მამაკაცის საპენსიო ასაკი ხომ 65 წლიდან იწყება? და მესამე, მეწარმეს თუ უნდა ბიზნესის გაფართოება, თავად გადაწყვეტს, რომელი კადრი სჭირდება მას ასაკის გათვალისწინებით. როცა პარლამენტში შევიდა შესაბამისი კანონპროექტი, „მოგების გადასახადის" ნაცვლად ჩაწერეს „საშემოსავლო გადასახადი", იმიტომ რომ მოგების გადასახადთან ამის მიბმა ბიუჯეტს აკარგვინებდა შემოსავალს. და აქაც მოტყუებასთან გვაქვს საქმე, რადგან საშემოსავლო გადასახადს იხდის არა დამქირავებელი, არამედ დაქირავებული. ამ გადასახადს თქვენ იხდით თქვენი ხელფასიდან, მაშ, რა შეღავათი აქვს ბიზნესს? არც არაფერი! ერთი უაზრობა ჩაანაცვლეს მეორე – უფრო დიდი უაზრობით.

– გვპირდებიან, რომ 2012 წლის ოქტომბრიდან 67 წლის ზემოთ მყოფთა პენსიები გაიზრდება 140 ლარამდე, საპენსიო პაკეტი კი 100 დოლარამდე. ესეც ტყუილია?

– ჯერ ერთი, რატომ 67 წელი, როცა ქალის საპენსიო ასაკი არის 60 წელი, მამაკაცის 65 წელი, ხოლო 67 წელს დასაბუთება არ აქვს. ესეც არის მორიგი უაზრობა. რაც შეეხება 100 დოლარიან საპენსიო პაკეტს, აქ ჩანს კიდევ ერთი მანიპულაცია. ყურადღება მიაქციეთ, პენსია კი არა, საპენსიო პაკეტი, რომელშიც მთავრობას დაზღვევაც შეაქვს. ჯერ ერთი, დაზღვევა რატომ შეაქვს? დაზღვევა სულ სხვა რამეა. მეორეც, საქართველოში კანონიერი საგადამხდელო საშუალება არის ლარი. რატომ 100 დოლარი? იმიტომ, რომ ხალხი გააბრიყვონ. სინამდვილეში პენსია არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე ნაკლები, მაგრამ როგორც კი საარსებო მინიმუმით დაიწყებენ პენსიის ოდენობის გამოთვლას, მაშინვე გამოჩნდება, რომ ბევრად მეტი ღარიბ-ღატაკია, ვიდრე დაფიქსირებული აქვთ. აი, ასეთ ტყუილებზეა აგებული ჩვენი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა.

– ბატონო ლადო, როგორც თქვენ ბრძანებთ ხელისუფლების პიარ-ღონისძიებები ივანიშვილის გამოჩენას უკავშირდება. ივანიშვილს კი ხელისუფლება რუსულ პროექტად აცხადებს, იმიტომ რომ მას, თურმე, რუსეთში ნაშოვნი ფულები ჰქონია.

– როდესაც საქართველოს მთავრობამ ოქროსა და სპილენძის წარმოება ჩააბარა ბენდუქიძის შემოყვანილ რუსულ კომპანიას „პრომიშლენნიე ინვესტორი"-ს, ეს ფულები სად იყო ნაშოვნი? როცა „გაერთანებული ქართული ბანკის"

ნაციონალიზაცია მოახდინა რუსეთის მთავრობამ „ვნეშტორგბანკის“ ხელით და დღეს ჰქვია „ვითიბი ბანკი“, ეს ხომ რუსეთის სახელმწიფო ბანკია? „ვნეშტორგბანკი“ კომუნისტების დროს ცნობილი იყო, როგორც „კაგებეს“ ბანკი. აგვისტოს ომის შემდეგ, როცა რუსებმა დაიპყრეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი, ხელისუფლებამ არ გადასცა რუსულ ინტერ-რაოს ენგურჰესი? ამის შემდეგ „ხრამჰესი-1“ და „ხრამჰესი-2“ იმავე კომპანიას არ მიჰყიდეს? რატომ არის ივანიშვილის ფული რუსული და რატომ არ არის ბენდუქიძის ფული რუსული? „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერს დავით დარჩიაშვილს აქვს ნათქვამი, რუსული ფულით უნდა ავაშენოთ ქართული ეკონომიკაო. ივანიშვილის ფული 7 ოქტომბრამდე ნაციონალებისათვის “სასიამოვნო” იყო და 7 ოქტომბრის მერე გახდა რუსული? ამერიკელმა ექსპერტმა ლინკონ მიტჩელი პირდაპირ წერს, საქართველოში ყველა, ვისაც აქვს ხელისუფლებისგან განსხავებული შეხედულება, ითვლება ქვეყნის მოღალატედ, ან რუსეთის აგენტად, ამიტომ საქართველო შედგა არა როგორც სახელმწიფო, არამედ როგორც სასულთნოო. ეს,სამწუხაროდ, მართლაც ასეა. როცა ივანიშვილმა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატები მიიპატიჟა, ყველანი უკლებლივ მივიდნენ მასთან. ამით დიპლომატიურმა კორპუსმა დემარში გამოუცხადა სააკაშვილის პოლიტიკას.

– დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა იმ პირთა სიის გამოქვეყნებას, რომლებიც ივანიშვილისგან დახმარებას იღებენ. ეს მას ადამიანთა მოსყიდვად ჩაუთვალეს.

– ამ მთავრობამ კულტურისა და სპორტის ცნობილი მოღვაწეები, და, განსაკუთრებით მეცნიერები ჩარეცხა. შექმნა ე.წ. “ნაციონალური” ელიტა, რომელსაც შეუქმნა სასათბურე პირობები. ივანიშვილს კულტურისა და სპორტის მოღვაწეები, ასევე მეცნიერები, „ნაციონალების“ მხარდამჭერებად და მის მოწინააღდეგებად არ დაუყვია, უკლებლივ ყველას, დამსახურების მიხედვით მიეცა დახმარება. ეს არის ივანიშვილის დანაშაული, რომ „ვარდების მთავრობის“ მიერ ჩარეცხილ ხალხს ეხმარებოდა? ივანიშვილი რომ არ ყოფილიყო, რა უნდა ექნათ მეცნიერებს, მშრალ ხიდზე წასულიყვენ და წიგნებით ევაჭრათ? თუ ვინმე თვლის, რომ აქვს იმხელა შემოსავალი და არ სჭირდება დახმარება, ნუ აიღებდა მას. მეც ვარ ამ გრანტის მიმღები. როგორც მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი წლების განმავლობაში თვეში 500 ლარს ვიღებ. როცა ბატონ ბიძინას შევხვდი და მადლობა გადავუხადე ამისთვის, მან არც კი იცოდა, რომ ვიღებდი მის გრანტს, იმიტომ რომ ის თავად არ ანაწილებს საგრანრო თანხებს.

რაც შეეხება მოსყიდვას. ივანიშვილი 10 წლის წინ გეგმავდა პოლიტიკაში მოსვლას და ამიტომ დაიწყო დახმარებების გაცემა? მოდით, ჯერ ის ვიკითხოთ, რატომ მოვიდა ივანიშვილი პოლიტიკაში? კეთილდღეობისთვის? იმაზე მეტი კეთილდღეობა, რაც მას აქვს, პოლიტიკით არ მიიღწევა. „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები არც მალავენ, პირდაპირ ამბობენ, რომ გაეგრძლებინა ბატონ ბიძინას პროექტების დაფინანსება და ყველაფერი კარგად იქნებოდაო. ასე რომც ფიქრობდე, ხმამაღლა როგორ უნდა თქვა? ამით მათ საკუთარი თავი ამხილეს. თურმე, ჩუმად რომ ყოფილიყო, ივანიშვილი რუსული პროექტი არ იქნებოდა. ნაციონალების აზრით მხოლოდ მათ უნდა მართონ ქვეყანა, სხვა ყველა უნდა იყოს ჩარეცხილი და ივანიშვილი ამ ჩარეცხილ ხალხს უნდა აძლევდეს საარსებო ფულს.

ესაუბრა

თეა ასათიანი